საქართველოს მთავრობის

დადგენილება №63

2019 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

„საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის დაწესებულებების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის №539 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის დაწესებულებების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის №539 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 08/09/2014; 300160070.10.003.018159) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის დაწესებულებების ტექნიკური რეგლამენტის“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეზინფექციისთვის უნდა გამოიყენებოდეს საშუალებები, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტური სამსახურის მიერ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**